



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 21 თებერვალი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
3. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. მარიკა კაპანაძე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
7. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
8. ირაკლი კლდიაშვილი - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება.
9. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
10. ნანუკა კეზევაძე - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
11. მარიამ ჭანტურია - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
12. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
13. ვახტანგ კობალაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
14. ვალერი ბასარია - ასოციაცია კავშირი „ აგორა „
15. თემურ შურღაია - შპს „ვინიფერას“ დირექტორი ( მოწვეული მომხსენებელი )
16. გიორგი მაისურაძე - შპს „მილმართის დირექტორი ( მოწვეული მომხსენებელი )

განსახილველი საკითხები:

1. მომხმარებელთა ინფორმირება მავნე პროდუქტების შესახებ -

ვახტანგ კობალაძე- სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

2. ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში

ეკა გეგეშიძე - „ჯუნიორ ეჩივმენტ“ საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

3. "აგრარულ სექტორში დასაქმებული მცირე და საშუალო მეწარმეების პრობლემები პროდუქციის შიდა ბაზარზე რეალიზაციის საქმეში"

თემურ შურღია - შპს "ვინიფერას" დირექტორი

გიორგი მაისურაძე - შპს "მილმარტის" დირექტორი

4. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-2 სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ - ნინო ელიზბარაშვილი-ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“

5. ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2018 წლის საერთო კრების შესახებ ანგარიშის მომზადება - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორთა დასახელება.

თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“

6. და სხვა.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა, თენგიზ სვანიძემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის ჩატარების მიმართულებები განსაზღვრა.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-ს წარმომადგენელმა, ბატონმა ვახტანგ კობალაძემ, ჯგუფის წევრებს გაუხიარა ის სიახლეები და გამოწვევები, რომლებიც შეეხება მოსახლეობის ინფორმირებულობას მავნე პროდუქტების შესახებ. ბატონმა ვახტანგმა ყურადღება გაამახვილა იმ სამ ძირითად ფუნქციაზე, რომელთა შესრულებაც ეკისრება სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ესენია: მეწარმეთა კონტროლი, ნიმუშების შემოწმება და მცენარეთა დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ორგანიზება. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ასევე სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას, არის

სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, რომელშიც სხვა მრავალ ვალდებულებასთან ერთად განსაზღვრულია ის ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება სურსათის ეროვნულ სააგენტოს მოსახლეობის მიმართ. მნიშვნელოვანია, მოხდეს მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა.

ბატონმა ვახტანგმა, ასევე ისაუბრა იმ ქმედებებზე, რომლებიც ხორციელდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება რომ კონკრეტული პროდუქტი არის მავნებელი და შეიცავს მავნე ნივთიერებებს. ამ პროდუქტების შესახებ სააგენტო ავრცელებს ზოგად ინფორმაციას როგორც წლიურ ანგარიშებში, ისე ყოველ ასეთ შემთხვევას აქვეყნებს საჯარო განცხადებების სახით თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მეორე მომხსენებლად, ჯგუფის წინაშე წარსდგა ქალბატონი ეკა გეგეშიძე, რომელმაც ისაუბრა ბიზნეს უნარ-ჩვევებზე დაწყებით განათლებაში. მან ისაუბრა ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს მიზნებზე, რომელიც არის ახალგაზრდების მომზადება გლობალურ ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად და ასევე იმ პროგრამებზე, რომლებსაც ორგანიზაცია ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით.

ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ, ასევე აქცენტი გააკეთა ბიზნეს უნარ-ჩვევების პროგრამაზე. ჯგუფის წევრებს დეტალურად გააცნო ის პრიორიტეტები, რომლებსაც სწავლების ეს კურსი სთავაზობს როგორც სკოლებს, ისე საბავშვო ბაღებს იმ აღსაზრდელებისთვის, რომლებიც არიან უკვე 5 წლის. ამ პროგრამის ფარგლებში მომზადდა შვიდი სხვადასხვა მიმართულება. ქალბატონმა ეკამ დეტალურად ისაუბრა ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს და G-PriEd-ის ერთობლივი პროექტის შესახებ, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ბიზნესის სამყაროს უკეთ აღქმისაში, შესთავაზებს უნიკალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას და განუვითარეს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა: გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, დაგეგმვა, არჩევნის გაკეთება, გუნდური მუშაობა და სხვა. აღნიშნული პროგრამები ისწავლება როგორც სკოლებში, ისე საგანმანათლებლო ცენტრებში, რომლებიც გაიხსნა სამ ქალაქში: თბილისში, ლაგოდეხსა და ზუგდიდში. ცენტრი შექმნილია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის დახმარებით.

ჯგუფის წინაშე მოხსენებით წარსდგა ასევე თემურ შურღაია - შპს "ვინიფერას" დირექტორი. რომელმაც ისაუბრა საქართველოში არსებულ იმ პრობლემაზე, რომელიც ყურძნის წარმოებასა და მის იმპორტს შეეხება. მან აღნიშნა, რომ ყურძნის 12 სხვადასხვა ჯიშის შემოტანა ხდება საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან, იმ ფონზე, როდესაც საქართველო საკმარისი რაოდენობის ყურძენს აწარმოებს და არ დგას იმპორტის აუცილებლობა. მან ასევე ისაუბრა ყურძნის მოვლისა და მოსავლის მიღების ტექნიკებზე. ბატონმა თემურმა მთავარ პრობლემად დაასახელა ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ პრივილეგია უნდა მიანიჭოს საქართველოში ნაწარმოებ პროდუქტს და ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ბიზნესის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის საკითხთან დაკავშირებულ პრიორიტეტებზე ისაუბრა ასევე გიორგი მაისურაძე - შპს "მილმარტის" დირექტორმა, რომელიც აწარმოებს 100%-ით ქართულ ნედლეულზე დამზადებულ ჩაის პროდუქციას. ბატონმა გიორგიმ მთავარ პრობლემად დაასახელა ბიზნესის წარმოებისთვის არათანაბარი პირობების არსებობა.

„ენერგოეფექტურობის ფონდი“-ს ხელმძღვანელმა, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საქართველოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შორის არსებულ შეთანხმებაზე. იგი მიიჩნევს, რომ ეს ხელშეკრულება გადახედვას საჭიროებს, თუმცა აქვე აღნიშნა რომ ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. ბატონმა ზარქუამ, ასევე ისაუბრა იმ საკითხზე თუ როგორ რეგულირდება ევროკავშირის სახელმწიფოებში ბაზართან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრის დასასრულს ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა, შეაჯამა მეორე ჯგუფის გასული წლის საქმიანობა და ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც წლის განმავლობაში იყო განხილვის თემა. ჯგუფმა მიაწოდა რეკომენდაციები შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, და რიგი მათგანი იქნა გათვალისწინებული. მაგალითისთვის მან მოიყვანა ქალთა მეწარმეობის საკითხი, რომელის ინიცირებაც მოახდინა მეორე სამუშაო ჯგუფმა და ეკონომიკის სამინისტრომ ჩამოაყალიბა ქალთა მეწარმეობის ქვეკომისია. ასევე ისაუბრა ომბუდსმენის ინსტიტუტთან თანამშრომლობის შესახებ.

მან ასევე ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც ჯგუფს შეუსრულებელი დარჩა და ქალბატონმა ნინომ იმედი გამოთქვა, რომ ახალი ჯგუფი და ჯგუფის ახალი კოორდინატორები ყურადღებას მიაქცევენ იმ საკითხებს, რაც დარჩა ჯგუფს შესასრულებელი.

შეხვედრის დასასრულს მოხდა ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატების დასახელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ვახტანგ ზარქუამ გამოთქვა უკმაყოფილება ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მუდმივად ერთი და იგივე სახეები ცდილობენ ჩაუდგინონ ჯგუფს სათავეში, ასევე განაცხადა რომ ჯგუფის შეხვედრებზე არ ხდება სერიოზულ საკითხებზე მსჯელობა.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატებად მსჯელობის შედეგად დასახელდნენ ქალბატონი ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“, ქალბატონი ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო, ბატონი ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი და ბატონი დავით ცისკარიძე -საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე

